

თომას მანის *ჯადოსნური მთა* და *ჯემალ ქარჩხაძის ქარავანი*

(ინტერტექსტობრივი მიმართებები)

არმენ არუთინოვი

სამაგისტრონაშრომიწარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე

შედარებითი

ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრისაკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნ

ების შესაბამისად

პროგრამა: უცხო ენათა ფილოლოგია და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

ხელმძღვანელი: ლევანცაგარელი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არარის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

არმენ არუთინოვი,

08.02.2022წ.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ ლევან ცაგარელს ნაშრომის წერის პროცესში გაწეული პროფესიული და მორალური დახმარებისა და გამოჩენილი ყურადღებისთვის. წლების განმავლობაში მისი დამსახურებით მივიკვლევ გზას მსოფლიო ლიტერატურის უსასრულოდ საინტერესო ლაბირინთში.

უზომოდ ვემადლიერები ყველა ჩემს ლექტორსა და მასწავლებელს, რომელთაც პროფესიული და პიროვნული ზრდის შესაძლებლობა მომცეს. თითოეული მათგანის დამსახურებაა ის ცოდნა და უნარები, რაც ნაშრომშია გამოყენებული.

მადლობას ვუხდით ოჯახის წევრებსა და მეგობრებს მუდმივი მხარდაჭერის, რჩევებისა და თანადგომისთვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია თომას მანის *ჯადოსნური მთისა* და ჯემალ ქარჩხაძის *ქარავნის* შიდა ინტერტექსტობრივი სივრცე, ის ნიშან-თვისებები, რაც ორივე ნაშრომს ერთმანეთთან აახლოვებს.

კვლევის მიზანია, ორი რომანის ინტერტექსტობრივი მიმართებების წარმოჩენა, მსგავსებებისა და განსხვავებების ჩვენება მათი შედარებითი ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზით. ასევე იმის დადგენა, რატომ იყენებს ჯემალ ქარჩხაძე სრულიად გამიზნულად თომას მანის რომანის სტრუქტურას თავისი რომანის სიუჟეტის აგებისას. დიდი ადგილი დაეთმო ორივე რომანის სიუჟეტისა და პერსონაჟების ერთმანეთთან შედარებას, საერთო ლიტერატურული ხერხებისა და ტექნიკის წარმოჩენას, მითოლოგიური და ბიბლიური მოტივების კვლევას, რომელთა საშუალებითაც გაირკვევა ორივე ნაწარმოების ინტერტექსტობრივი დიალოგის დანიშნულება.

ტექსტების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ *ქარავანი* აგებულია *ჯადოსნური მთის* მოდელზე. ჯემალ ქარჩხაძეს გამოყენებული აქვს თომას მანის რომანის სტრუქტურა და *ჯადოსნური მთაში* ნაჩვენები მრავალფეროვანი სურათების საფუძველზე ქართული საზოგადოების რადიკალურად განსხვავებულ სურათს გვთავაზობს იგივე ლიტერატურული ხერხებითა და მაღალი მხატვრული ღირებულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჯემალ ქარჩხაძემ უდავოდ გაამდიდრა ქართული ლიტერატურა საუკეთესო ევროპულ ტრადიციებზე დამყარებული რომანის სტრუქტურის გამოყენებით. მან გერმანული განვითარების რომანის ლიტერატურულ მოდელზე დაყრდნობით მაღალმხატვრული და ერთ-ერთი საუკეთესო ქართული რომანი შექმნა, რითაც დიდი სამსახური გაუწია ქართულ ლიტერატურას და კიდევ ერთხელ წარმოაჩინა განსხვავებული ქვეყნებისა და

კულტურების ლიტერატურულ ძეგლებს შორის ინტერტექსტობრივი დიალოგის
დამყარების აუცილებლობა და მნიშვნელობა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქარავანი, ჯადოსნური მთა, ინტერტექსტუალობა,
პალიმფსესტი, იმიტაცია, განვითარების რომანი, ლაიტმოტივი, ალუზია.

Abstract

This paper discusses the inner intertextual space of *The Magic Mountain* by Thomas Mann and *Caravan* by Jemal Karchkhadze, the features that bring the two works closer together.

The research aims to present the intertextual relations between these two novels, to demonstrate the similarities and differences through their comparative analysis and interpretation; as well as to find out why Jemal Karchkhadze uses the structure of Thomas Mann's novel completely purposefully when constructing the plot of his novel. A great deal of paper will be devoted to comparing the plot and the characters of both novels, presenting common literary devices and techniques, studying mythological and biblical motifs through which the purpose of intertextual dialogue in both works will be clarified.

Based on the study of the texts, we can argue that *Caravan* was built on a model of *The Magic Mountain*. Jemal Karchkhadze has used the structure of Thomas Mann's novel and offers a radically different picture of Georgian society based on a variety of images displayed in *The Magic Mountain* with the same literary devices and high artistic value.

In conclusion, it can be said that Jemal Karchkhadze undoubtedly enriched Georgian literature by using the structure of a novel based on the best European traditions. Based on the literary model of the German Bildungsroman, he created a highly artistic and one of the best Georgian novels, which did a great service to Georgian literature and once again showed the necessity and importance of establishing intertextual dialogue between literary monuments of different countries and cultures.

Keywords: Caravan, Magic Mountain, intertextuality, palimpsest, imitation, Bildungsroman, leitmotif, allusion.